№ 81 1877—1899 № 81

ოთხშაბათი, 14 აპრილი, 1899 წ.

# ივერია

ოთხშაბათი, 14 აპრილი, 1899 წ.

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10— | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარია

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ გამგეობამ მიიღო ბ-ნის გუბერნატორისაგან ნებართვა გამართოს საზოგადოების სასარგებლოდ

## სახალხო სეირნობა საქველმოქმედო ბაზრითურთ.

სეირნობა და ბაზარი გაიმართება მაისის დამდეგს. ვისაც სურს დახმარება აღმოუჩინოს ბაზრის გამართვას, შემოწირულება უნდა გამოუგზავნოს ტფილისში კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძისას, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21.

ჩვეულებრივი წლიური კრება ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა

დანიშნულია 21 აპრილს, ოთხშაბათს, დილის თერთმეტ საათზე, სოფელ კუხს, ამხანაგობის სამმართველოში. განსახილველია შემდეგი საგნები: 1) დამტკიცება 1898 წლის ამხანაგობის წლიურის ანგარიშისა; 2) მიღება მთავრობის სანიმუშო წესდების თანახმად შემუშავებულ ახალის წესდებისა; 3) არჩევა ამხანაგობის მდივნისა; 4) ნებართვა ამხანაგობის მმართველისადმი ამხანაგობის აღებ-მიცემობისათვის საჭირო სესხის აღებისათვის და 5) მოხსენება ამხანაგობის მმართველისა, თუ როგორ დაუახლოვდეს უფრო მეტად ამხანაგობა ერთის მხრით ჩვენებურ მეაბრეშუმეებს და მეორეს—საზღვარგარეთელ მუშტრებს. (10—6.—7)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. საღოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ე. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ფ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. პრიტ·სეგიჩა—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. $1^1/_4$—$2^1/_4$ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

ბ. ა. ნავასარდიანი $6^1/_2$—7 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ.)

ექიმი

კ. ი. გძელიშვილი

მიიღებს

ყელისა, ცხვირისა და ყურით ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.

მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ. Михайловская, противъ кирки. (100—31—31)

### მთავრობის განკარგულებანი.

ებოძათ: სამსახურის წელთა შესრულებისათვის კოლლეჟსკი რეგისტრატორობა ქუთაისის საკარანტინო-სადგამოყენო ოლქის უფროსის კანცელარიის საკანცელარიო მოხელეს კლდიაშვილს.

## ახალი ამბავი

*** გუშინ, 13 აპრილს, უკანასკნელი სხდომა იყო ტფილისის თავად-აზნაურთა საგანგებო კრებისა, რომელმაც დაადგინა: 1) მამულების გამიჯვნის დაჩქარების პროექტი, რომელიც შეიმუშავა თავ. ი. გ. ამილახვარმა, გარდაეცეს კვლავ თავ. ამილახვარს ხელახლად გადასინჯვისათვის და საბოლოო პროექტის შედგენისათვის; ვისაც ჰსურს თავისი მოსაზრება წარმოადგინოს პროექტის შესახებ, კომისიაში უნდა წარადგინოს იგი ორის კვირის განმავლობაში; შემუშავებული პროექტი კომისიამ უნდა წარუდგინოს საგანგებო კრებას, რომელიც მაისში იქნება მოწვეული. 2) ეთხოვოს ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობას იშუამდგომლოს ბანკის მომავალ კრების წინაშე, რომ ბანკის ამ წლის მოგებიდგან კრებამ გადასდოს შეწირულება შიდა გუბერნიებში დამშეულთათვის და მცხეთის ტაძრის განახლებისათვის.

*** გუშინ, 13 აპრილს, ტფილისის თავად-აზნაურობას ჰქონდა კერძო სხდომა, რომელზედაც, სხვათა შორის, გარდასწყდა: 1) მომავალი კრებისათვის გადასინჯულ იქმნას წყალთა და მდინარეთა შესახები დებულება. ამ საგნისათვის არჩეულ იქმნა კომისია, რომლის თავმჯდომარედ აარჩიეს თავ. ი. გ. ამილახვარი და წევრებად: თავ. დ. ზ. მელიქიშვილი, თავ. გ. ნ. დიასამიძე და თავ. ნ. თ. ჩოლოყაშვილი; 2) დამზადდეს იმავე კრებისათვის მოხსენება იმის შესახებ, თუ რომელ სამაზრო ქალაქში უმჯობესი იქნება დაარსდეს გიმნაზია; ეს მოხსენება შემდეგ წარედგინება მთავრობას; მოხსენების შედგენა მიენდო კომისიას, რომლის წევრებად არჩეულ იქმნენ: თავ. ი. გ. ჭავჭავაძე, ა. ნ. ფურცელაძე, გ. დ. ქურული, ი. გ. რატიშვილი და გ. ა. ყარანგოზიშვილი, და 3) შესდგეს იმის წესები, თუ როგორ მოხერხდეს, რომ ის ფული, რომელიც თავად-აზნაურობას უნდა დაუბრუნდეს ბანკიდგან, საზოგადო საჭიროებას მოხმარდეს თავად-აზნაურობისას. კრებამ ამ წესების შედგენა დაავალა თავ. ი. გ. ჭავჭავაძეს, რომელსაც მიენდო მოიწვიოს ისინი, ვის მოწვევასაც საჭიროდ სცნობს თითონ, ამ საქმის დასამთავრებლად. იქვე, თავ. ი. გ. ჭავჭავაძის წინადადების თანახმად, თავ. ნ. თ. ჩოლოყაშვილმა შესწირა თავად-აზნაურობის საზოგადო საჭიროებისათვის ბარათი ბანკის დასაარსებელ თანხის შესადგენად მის მიერ შეტანილის 630 მან. ფულისა და ამ გვარად უარი განაცხადა ამ ფულის მიღებისა. ამავე კრებაზედ წაკითხულ იქმნა თხოვნა მეღვინეთ ხუციშვილის ქვრივისა, რომელიც აცხადებს, რომ ბანკიდგან ჩემს წილად უკან დასაბრუნებელი ფული შემიწირავს იმ საზოგადო სიქველისათვის, რომელსაც ამ ფულის საზოგადოდ მოხმარებისათვის დანიშნული კომისია ამჯობინებსო.

*** ჩვენს გაზეთში უკვე მოხსენებული იყო, რომ ბავშვთათვის სამზრუნველო საზოგადოებამ ქალაქს სთხოვა 1000 საჟ. მიწა ალექსანდრეს ბაღში ბავშვებისათვის სათამაშოს გასამართავად. ეს შუამდგომლობა ქალაქის გამგეობამ 12 აპრილს მოახსენა ქალაქის საბჭოს. ხანგრძლივის კამათის შემდეგ საბჭომ საზიანოდ სცნა ქალაქის ინტერესებისათვის ხსენებულ შუამდგომლობის დაკმაყოფილება და დიდ ძალი ხმის უმეტესობით უარ ჰყო იგი.

ამავე კრებაზედ გარდასწყდა კენჭის ყრით, მიეცეს წყლის მილის განყოფილების ბუღალტერის თანაშემწეს მნაცაკან სკანდაროვს ერთბაშად შესაწევარი 275 მან.

*** გუშინ, 13 აპრილს, საქართველოს სამხედრო გზით ტფილისში ჩამოვიდა ავსტრი-უნგრეთიდგან სპარსეთის შაჰის მეორე ვაჟიშვილი, პრინცი შუკაუფ სალტანე-მანსურ-მირზა.

## ფელეტონი

### სათავად აზნაურო თანხის შესახებ

დიდის ხნის დუმილის შემდეგ „კვალმაც“ ამოიღო ხმა და გაგვიზიარა თავისი აზრი სათავად-აზნაურო თანხის შესახებ თავისი ახლად გამოჩენილ თანამშრომელ ბ-ნ „ისი“-ს პირით. [1]) ეს უკანასკნელი, ვგონებ, პირველად გამოდის სამწერლო ასპარეზზედ, მაგრამ, როგორც სჩვევიათ პატივცემულ „კვალის“ სხვა თანამშრომელთაც, ისეთის რიხითა და გამბედაობით, თითქო მარტო მას ეპყრას ხელთ ჭეშმარიტების საიდუმლოება. საინტერესოა, სად იმალება ასეთის გამბედაობის წყარო, სად არი მისი სათავე?

ბ-ნი „ისი“ ძლიერ გაკვირვებულია, როგორ თუ ვისმე სხვა აზრი აქვს, ვიდრე მოსკოველ სტუდენტობასაო. მაგრამ, ბ-ნო „ისი“, გახსოვდეთ ის, რომ აზრთა სხვა-და-სხვაობა ჰქმნის პროგრესს, ფანატიკოსობა-კი არასოდეს არა ყოფილა სასარგებლო და ამიტომ გთხოვთ ცოტა ხანს სხვა სათვალეები გაიკეთოთ და ჩვენც გვათხოვოთ ყური. მაშ დავიწყოთ.

ჯერ ერთი ეს ამიხსენით, იქ, სადაც თავად-აზნაურობის 600,000 მანეთის მოხმარებაზეა, ლაპარაკი, ლიბერალობა ან კონსერვატორობა რა მოსატანია ვერაფერი რადიკალობაა სწორედ 600,000 მანეთის რადიკალობა! ეს თანხა, მერწმუნეთ, ვერც ააშენებს და ვერც დააქცევს ვერც ერთს წოდებას და სოციალურად-კი ისე სამნიშვნელო არ არის, რომ მისის მოხმარების წესისა დაგვარად ჩვენი საზოგადოება და ინტელიგენცია პროგრესსიულ და რეაქციულ დასებად გაიყოს.

მეორე: მე ჩემ წინანდელ წერილში აღვნიშნე მხოლოდ, რომ ხსენებულ თანხით დაარსებულ ბანკს ექმნება რამოდენამდე წოდებრივი ხასიათი-მეთქი. მაშინ საჭიროდ არ დავინახე განმემარტა, რით გამოიხატება ეს წოდებრიობა, რადგან მეგონა, ისეც ცხადი იქმნებოდა ყველასთვის, მაგრამ, თურმე ჩვენთვის ცხადი არაფერი არა ყოფილა, ყველაფერი ბნელით ყოფილა მოცული, ყველაფერი ანბანიდგან დასაწყები ყოფილა. მომავალი სამელიორაციო ბანკი თუ ხსენებულის თანხით იქმნა დაარსებული, იქმნება წოდებრივი იმდენად და იმ სახით, რამდენადაც და რა სახითაც წოდებრივნი არიან ეხლანდელი სათავად-აზნაურო ბანკები, ე. ი. თავად-აზნაურობას, როგორც დამფუძნებელს, ეყოლება თავისნი წარმომადგენელნი საბანკო კრებებზედ და ნაწილი წმინდა მოგებისა იქნება გადადებული თავად-აზნაურობის საჭიროებისათვის ან მისთა შვილთა აღზრდისათვის. მორჩა და გათავდა. მე ვფიქრობ, რომ მხოლოდ ამგვარის ბანკის დაარსების ნებართვა შეგვიძლიან მოვიპოვოთ. სამელიორაციო ბანკის მოქმედება-კი, როგორც ამას ქვემოდ განვმარტებ, ყველა მამულის პატრონს უნდა შეეხებოდეს, წოდებისა და ეროვნების განურჩევლად. სხვა ტიპის ბანკი შეუძლებელია-მეთქი ვამბობდი და ახლაც ვიმეორებ. ბ-ნს „ისი“-ს-კი სიტყვა „შეუძლებელია“ უთარგმნია სიტყვად „სასურველი არ არისო“, რომ მე კონსერვატორად გამოვეყვანე და იმავე დროს თავისი თავი რადიკალად დაესახა. ეჰ! ბ-ნო „ისი“, ის 600,000 მანეთი რომ ჩემი ყოფილიყო, განა მე-კი ვერაფერს მოვიგონებდი უკეთესს?

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ საერო სამელიორაციო ბანკის დაარსება შესაძლებელი იქნება, თუ ტფილისის გუბერნიის საგლეხო თანხას, ტფილისის გუბერნატორად ყოფილ თავად შარვაშიძისაგან შეგროვილს, ხსენებულ სათავად-აზნაურო თანხას მიუმატებენ. მე არ ვიცი, რამდენად შესაძლებელია ეს. და თუ ამ ორის თანხის შეერთებას ხელს არაფერი შეუშლის, მაშინ გლეხობასა და თავად-აზნაურობას ორივეს ეყოლება ბანკის კრებებზედ წარმომადგენლები, თითოეულს მისის თანხის რაოდენობის კვალობაზედ და წმინდა მოგების ნაწილიც საერთო საქველმოქმედო საქმეს მოხმარდება. მაშინ სამელიორაციო ბანკი უფრო მტკიცედ დაფუძნებული, უფრო ფესვებ-გამაგრებული იქნება და, მაშასადამე, ბევრად უფრო სასარგებლო, უფრო მნიშვნელოვანი როგორც თავად-აზნაურობისა, ისე გლეხობისათვის. ჩემი სული და გული ამგვარის ბანკისკენ არის.

ამას გარდა მარტო თქვენი პროექტი რომ იქმნას განხილული, უფრო მოსალოდნელია, რომ ხსენებულმა თანხამ მიიღოს ვიწრო ხასიათი, რომელიც გაშინებთ. ამგვარად დაიწყეთ რადიკალობიდგან და გაათავეთ კონსერვატორობით. აქედგან შემდეგი მცნება გამოდის: რომ რადიკალი იქმნე, ცალიერი სურვილი არა კმარა, საჭიროა კიდევ სხვა რამეც.

საზოგადოდ რომ გავსინჯოთ თქვენი აზრი, რომ საზღვარ-გარედ ჩვენის შვილების აღზრდა სჯობია სამელიორაციო ბანკსაო, სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ პირველი საქმე ფრიად სამძიმოა, მას ფრიად დიდი თანხა მოუნდება, 600,000 მანეთი მხოლოდ 5—6 კაცს გამოგვიზრდის

[1]) იხ. „კვალი“ № 6.

პრინცს თან მოჰყვა რუსეთში მყოფი ელჩი სპარსეთისა მირზა-რიზა-ხანი. ქალაქის საზღვარზედ პრინცს მიეგება პოლიცმეისტერის თანაშემწე გ. ს. კოვალიოვი, ხოლო სპარსეთის საელჩოს სადგომში, სადაც პრინცი ჩამოხდა, ტფილისის გუბერნატორის თანამდ. აღმასრ. კ. კ. სტეფანოვიჩი და ტფილისის პოლიცმეისტერი ლ. პ. მასტიცკი.

*** უმაღლესის ბრძანების თანხმად ტფილისისა და ქუთაისის სათავად-აზნაურო, საადგილ-მამულო ბანკებმა შემდეგი ცვლილება უნდა შემოიღონ ხოლმე, როდესაც გამოსაცხადებელი ექმნებათ საჯარო ვაჭრობანი: ორი თვის წინად, ვიდრე საჯარო ვაჭრობა დაიწყებოდეს, მსესხებელს უნდა გაეგზავნოს დაზღვეული წერილი და უნდა შეატყობინონ დრო საჯაროთ ვაჭრობისათვის დანიშნული. ამ წერილში უნდა აღინიშნოს რაოდენობა ვალისა, რომლის გამოც მამული ისყიდება. პირველი საჯაროთ ვაჭრობა უნდა დაინიშნოს ხოლმე „პრავიტელსტვენი ვესტნიკში" გამოცხადების დღიდგან ექვსი თვის შემდეგ და მეორე-კი, ორი კვირის განმავლობაში.

*** მიწათ-მოქმედების მინისტრის რწმუნებულის განკარგულებისამებრ კავკასიის სხვა-და-სხვა ადგილებში დაიგზავნენ ტფილისის სააბრეშუმო სადგურის ინსპექტორები. სხვათა შორის, ქუთაისის გუბერნიაში გაგზავნილ იქმნა ბ. ი. ქუთათელაძე.

*** გუშინ, 13 აპრილს, ტფილისში ჩამოვიდა იურიევის საბოტანიკო ბაღის დირექტორი ბ-ნი ფომინი, რომელიც გამოგზავნილია კავკასიაში საგეობატანიკო გამოკვლევისათვის.

*** 11 აპრილს ალექსანდროპოლის მაზრიდგან ტფილისში ჩამოიყვანეს ცოფიანი მგლისაგან დაკბენილი 18 კაცი, რომლებიც მოათავსეს ქალაქის მეორე ღამის თავ-შესაფარში. მათ ზედამხედველებად დანიშნულნი არიან მეათე განყოფილების პოლიციის მოხელენი.

*** ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელის გვარდიის პოლკოვნიკის ბ-ნ სვეჩინის ჩამოსვლას ტფილისში 25 აპრილს მოელიან.

*** გაზ. „კავკასს" გაუგონია, რომ ახალ-ქალაქის ოთხ-კლასიან სასწავლებლის ინსპექტორად ნამყოფს როსტომაშვილს მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს წინაშე შუამდგომლობა აღუძრავს: ნება დამრთეთ ქალაქ ტფილისში პრაქტიკული კურსები დავაარსო განსაკუთრებულის პროგრამით მეხილეობისა, მევენახეობისა, მებოსტნეობისა და მეფუტკრეობის ხელობის შესწავლისათ.

*** იმავე გაზეთსა სწერენ პეტერბურგიდგან, რომ ამ ჟამად გზათა უწყებისა და ფინანსთა სამინისტროები და სახელმწიფო კონტროლი ჰსინჯავს იმ საგანს, რომ მოისპოს და აღარ გარდახდეს გზა-ტკეცილის ბაჟი კავკასიის გზათა უწყების ოლქის იმ ადგილებში, სადაც ისე მცირე ფული იკრიბება, რომ თვით საბაჟოს ხარჯსავე სჭირდება, და საზოგადოდ ამ ბაჟის შეკრების საქმე გაწესრიგებულ იქმნას.

*** ტფილისის ოლქის საგანგებო საქმეთა გამომძიებელმა ბ-ნმა აბელმა უკვე ჩამოართვა ჩვენება ქალაქის მოურავს ბ-ნ ევანგულოვს. ამ დღეებში ჩამოართმევს ჩვენებას აგრეთვე ტფილისის გამგეობის წევრებს ხოსროევსა და არღუთინსკის. ამათ შემდეგ ჩვენება ჩამოერთმევათ გამგეობის წევრებად ნამყოფებს ივანენკოსა და ვერმიშევს. („ტფ. ფურც.")

*** გაზეთ „ახალ მიმოხილვის" სიტყვით, რუსეთის საიმპერატორო წყალში დარჩობისაგან გადამრჩენელ საზოგადოების ტფილისის ოლქის განყოფილებას აზრადა აქვს თურმე დააარსოს საბანაო ცურაობის შესწავლის მსურველთათვის, რისთვისაც შუამდგომლობენ მთავრობის წინაშე, რომ 8 მაისს ნება მიეცეს ამ საზოგადოებას მუშტაიდის ბაღში გაჰმართოს სახალხო სეირნობა, რომლის შემოსავალიც დასახელებულ საბანაოს მოხმარდება.

*** სოფელი ტროიცკა, (სუნჯის განყოფილება). კარგა ხანია რაც აქ მუცლის ხურვება მძინვარებს და დიდს ზარალს აძლევს მცხოვრებლებს.

*** ს. სალიაგო, (სენაკის მაზრა). 29 მარტს გარდაიცვალა ჩვენი სოფლის საყვარელი მღვდელი მამა ლუკა ჟორდანია. მისმა გარდაცვალებამ ყველას დიდად დასწყვიტა გული, რადგან ნამდვილი მამა შვილური განწყობილება სუფევდა მასა და იმის მრევლს შორის. განსვენებული მიაბარეს მიწას მარტვილის მონასტერში 4 აპრილს. დასაფლავებას დიდძალი ხალხი დაესწრო.

## წერილი ოსეთიდგან

წარსულ იანვრის თვეში სოფელ დალუყაევში ერთი სამწუხარო ამბავი მოხდა, ამ სოფელში მცხოვრები ქვრივი დაორსულდა. დედაკაცი ხშირად უქეიფობდა და გარეთ გამოსვლაც მოიშალა. ამ ქვრივს თურმე ჩუმად ეშობა, საბრალო ბავშვი მოუკლა და ერთ უბრალო ალაგას ჩაემარხა. მაგრამ არ დაიმალა მართალი; დედაკაცს (ქვრივს) მთხრობელი გამოუჩნდა. პირველად ქვრივმა ძლიერ იტკიცა და თავისს ძმებს შემდეგის სიტყვებით მიჰმართა: „ამა-და-ამ კაცმა მე ალალმართალს სახელი გამიტეხა, ცუდი ხმა დამიგდო და აბა თუ ჩემი ძმები ხართ, ოსური ჩვეულებისამებრ შური იძიეთო". ძმებმაც, რასაკვირველია, უსმინეს დას და უთხრეს მთხრობელს: „ან უნდა დაუმტკიცო ჩვენს დას რაც დასწამე, და ან, იცოდე, მთელს თქვენს გვართან საქმე გვექნებაო", მთხრობელმა თავისი ნათქვამი საქმით დაუმტკიცა ბიზაევის ქვრივსა. საბრალო მკვდარი ბავშვიც იპოვნეს; ახლა-კი აღიარა ქვრივმა, რომ თავისს მაზლთან შეცდარიყო. როგორც მთელი სოფელი, ისე მთელი ბიზაევის გვარეულობა აღელდა; აცნობეს მთავრობას, გამომძიებელიც მოვიდა და ყველაფერი დამტკიცდა. როგორც სოფელი, ისე ბიზაევის გვარი მთავრობას სთხოვენ, რომ რძალ-მაზლი სასტიკად იქმნან დასჯილნი.

წარსულ თებერვალში სოფელ ქარცადგან რამდენიმე დედაკაცი წავიდა სოფელ ყობანში შეკითხავთან საკითხავად. დედაკაცებს გზაზედ აუტყდათ ქარ-ბუქი, გზა რომ ვეღარ გაიგნეს, იქვე ერთი გორაკის ძირში მიიყუჩნენ და ღამე გარეთ დარჩნენ. ერთი დედაკაცი ღამე გაყინულიყო და მეორე დღეს თავისის ყმაწვილით მკვდარი იპოვნეს; სხვები-კი ცოცხალ-მკვდარნი იყვნენ.

ამ რამდენიმე ხნის წინად სოფელ სალუგარდანში ერთი სამწუხარო ამბავი მოხდა. ამ სოფლის მამასახლისის თანამდებობის აღმასრულებელმა შეკუზაროვმა დაიცა ხანჯალი და თავი მოიკლა. ბევრი მითქმა-მოთქმაა ამ ამბის გამო: ზოგნი ამბობენ, რომ დიდად საყვარელი ძმა მოუკვდა და სიმწარით მოიკლა თავიო, ზოგი-კი ისე ამბობს, რომ სოფლის საქმეებში შეცდომა მოუვიდა, ვეღარა გაიგორა, ფული შემოეხარჯა და ამისთვის მოიკლა თავიო.

აქეთ მშვენიერი გაზაფხულია, ხალხი სახნავად გავიდა.

ქართველი ოსეთში

## მთიულთა გოდება.

(წერილი რედაქციის მიმართ)

ჩვენ ამას წინადაც გვქონდა მოხსენებული „ივერია"-ში, რომ წრევანდლისთანა განსაცდელში მთიულეთი მგონია ჯერ არ ყოფილა-მეთქი. მაგრამ რა გამოვიდა, ბევრიც რომ ვიჩივლოთ და ვიტიროთ, ჩვენთვის გულ-შემატკივარი არავინ აღმოჩნდა არც ნასწავლთაგანი და არც უსწავლელთაგანი. სეტყვამ და ყინვებმა ხომ ხელი აგვაღებინა წრევანდელ მოსავალზედ, მაგრამ ამ შიმშილობაზედ უარესი დღე სხვა დაგვადგა. აქამდე შიმშილობა რომ ჩამოვარდებოდა ხოლმე, ჩვენვე ჩვენის ხარ-ურმით მივდიოდით ძაუგისკენ (კავკავისკენ) და ეხლა ეს ორი სამი წელიწადი იქნება, რაც, ვითომდა ჭირის მიზეზის გამო, აგვიკრძალეს ჩვენის ხარებით სიარული, ვითომ აქედგან გადაგვქონდეს იქაური საქონელისათვის ჭირი. ეხლა რა ვქნათ ამ ბეჩავთ, ეგრეც უადგილო მოულობით დაქვეითებულებმა, სიმინდის ყიდვას გაუძლვეთ, თუ ქირის ძლევას. იქიდან, ძაუგიდან კი აძლევენ ხარისა და კამეჩის ჯოგის გადმორეკის ნებას და ჩვენ-კი ჩვენის ცოლშვილის საკვების მოსატანათ რომ წავიდეთ ჩვენის ხარ-ურმით, გზას გვიკრავენ. ნუთუ იმათი ბეითალის შემოწმებული-კი სჯობს და ჩვენი ბეითალის შემოწმებული-კი არა? აქედან მიმავალს ქვეითა კაცს სიცივის გამო რომ თივა ან ჩალა ჰქონდეს ქალამანში წაღებული, იმასაც-კი ჰხდიან დარიელში და უყრიან. ნუ თუ მარტო ჩვენთვის უნდა არსებობდეს ასეთი სისასტიკე? ვთხოვთ მიაქციონ თავიანთი ყურადღება ვისგანაც ჯერ არს, დაგვიხსნან დაჩაგრულნი მთიელნი ამ გაჭირვებასა და გაგვანთავისუფლონ ქირის ძლევისაგან მაინც, თორემ თქვენი მტერია რა განსაცდელშიაც ჩავარდებით. ცოლშვილი სიმშილით ამოგვიწყდება, სხვა რომ არა ვსთქვათ რა. ამ გაჭირვებას ათასნაირი გადამდები სენიც დაერთო და ჩვენს მოზარდ თაობას სულ მუსრს ავლებს. ჩვენთვის არც ექიმი და არც წამალია, ვიხოცებით როგორც უპატრონო ცხვარი. ჩვენებურად ნათქვამია „რწყილს ნესტარი ჰკრეს, ჭირადაც ეყოდა ლხინადაცაო", სწორეთ ჩვენზედ არის ეს ნათქვამი.

ვთხოვ, რუსულ გაზეთებმაც ეს წერილი გადაბეჭდონ.

მ. კ.

## ობლებისა და მათის ქონების პატრონობა სოფლად.

მთლად გორის მაზრაში გლეხ-კაცობის ობლების და მათის ქონების ვითარება ცუდს მდგომარეობაშია, მისს კეთილ წარმატებისთვის არამც თუ არავინ ჰფიქრობს, არამედ ბევრნი იმის ცდაში არიან, რომ ობლების ქონების უპატრონობით ისარგებლონ და მუქთად ჩაიგდონ ხელში, რითაც ილუპება და მიწასთან სწორდება ობლების ოჯახი. კანონით თუმცა სოფლის საზოგადოებას აქვს მინიჭებული ყურის გდება ობლისა და მისის ქონებისა, იგია მოვალე: დაჰნიშნოს კეთილსინდისიერი მზრუნველი ობლებისა და მათ ქონებისა, მოსთხოვოს თავის მიერ და-

---

ყოველ წლობით. სამელიორაციო ბანკს-კი, რომელსაც თითქმის არა ნაკლები მნიშვნელობა ექნება, 600,000 მანეთის ძირის თანხაც კარგად გაუძლვება. ყოველ წელს რომ უცხოეთიდგან 5—6 მეცნიერულად მომზადებული ახალგაზრდა მოგვივიდეს, ეჭვი არ არის, ძლიერ სასარგებლო იქნება, მაგრამ უფრო საყოველთაო მნიშვნელობა ექნება სამელიორაციო ბანკს, რომელიც ახლავე შეუდგება მიწათ-მოქმედების გაუმჯობესებას ნაქირავებ ტეხნიკოსებისა და აგრონომების საშუალებით. ამგვარი ბანკი ამასთანავე თვით შეჰქმნის, როგორც ეს სხვაგან ხდებოდა, მოთხოვნილებას ტეხნიკოს-აგრონომებისას, თვით წააქეზებს ახალგაზდობას ამგვარის ცოდნის შესაძენად და თავისი საკუთარი სტიპენდიებიც ექნება. ეს ოცნება არ არის, ასე იყო დასავლეთ ევროპაში და, თუ საქმეს რიგიანად გაუძლვებიან, ჩვენშიაც ასე იქნება.

რაც შეეხება საკითხს, სასარგებლოა თუ არა სამელიორაციო ბანკი, განცვიფრებას ვეძლევი; ბ-ნი „ისი", ნუ თუ ისე აიღეთ კალამი ხელში, რომ მცირეოდენი შრომა არ მიაყენეთ თავს, ცოტა მაინც წაგეკითხათ რამე სამელიორაციო ბანკების შესახებ? თქვენ გაბედვით ჰკითხულობთ, სად იყო მაგალითი, რომ სამელიორაციო ბანკი სასარგებლო ყოფილიყოსო. ყველგან, სადაც-კი ამგვარი ბანკი დაარსებულა, გიპასუხებთ, და, თუ საბუთები გნებავთ, სახელი მათი არს „ლეგიონ". მე-კი ჩემდა თავად ამის შესახებ ლაპარაკი მეტი მგონია.

მსგავსება-კი მე და ბ-ნ „ისი"-ს შორის ისეთ რამეშია, რომ, ვიცი, ბ-ნ „ისი"-ს არ იამება. ამ ორის წლის წინად მე ვწერდი გაზეთ „მეურნეში", რომ ჩვენთვის აუცილებელია დავაარსოთ თანხა საზღვარ გარეთ სწავლის დასამთავრებლად ყმაწვილების გასაგზავნად-მეთქი. აუცილებელიც არის. მაგრამ ამისათვის უმჯობესი იქნება სამელიორაციო ბანკის წმინდა მოგების ნაწილი იქმნას გადადებული, ვიდრე ის, რომ ხსენებული 600,000 მანეთი უძრავად, მხოლოდ სარგებლის შესაკეცად, ეგდოს რომელსამე ბანკში. ჩემი აზრი რომ განხორციელდეს, ერთსა და იმავე დროს ორ კურდღელს დავიჭერთ: ჩვენს მიწათ-მოქმედებასაც გავაუმჯობესებთ, ჩვენის ერის უმეტესობასაც ცოტად მაინც სულს მოვათქმევინებთ, და საზღვარ-გარეთაც, თუ მეტს არა, იმდენს მაინც გავგზავნით ახალგაზდას, რამდენიც მოსკოველ სტუდენტების პროექტისაგან მოსალოდნელია.

აქ უნდა შევნიშნო ერთი რამ. თუ, ვინიცობაა, თავად-აზნაურობამ თავისი თანხა ახალგაზდების საზღვარ-გარეთ სწავლის დასამთავრებლად მოახმარა მხოლოდ, ყოვლად შეუწყნარებელი იქნება ბ-ნ „ისი"-ს წინადადება, რომ უფრო ისეთი ახალგაზდები გავგზავნოთ, რომელნიც თავს სალიტერატოროდ ამზადებენო. ერთი ეს ვკითხოთ „ისი"-ს, ვინ იქმნება გამომცნობელი, რომ ეს, ან ის ახალგაზდა ლიტერატორი იქნება? განა შეიძლება წინდაწინვე ამის გამოცნობა? ხშირად არის, ვისგანაც მეტს მოელიან, არაფრად არ გამოდგება ხოლმე და ნამდვილი ლიტერატურული ნიჭი კი იქ გამოჩნდება, სადაც ამას არავინ არ მოელის. ამის მაგალითებს ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში ყოველ ნაბიჯზედ შევხვდებით.

განვიხილოთ ახლა ბ-ნ ივანე როსტომაშვილის პროექტი. *) იგი ჰბრძანებს: „ჩვენის აზრით სამელიორაციო ბანკს ყოვლის უთქმელად ემჯობინება საერო ბანკები, მარტო იმიტომ კი არა, რომ პირველი წოდებრივია, ხოლო მეორე საყოველთაო". მიკვირს და გამკვირვებია. სამელიორაციო ბანკის დედა-აზრს არასოდეს არ შეადგენდა წოდებრიობა, პირიქით იგი ბურჟუაზულ-დემოკრატიული დაწესებულებაა. განვიხილოთ უფრო ახლოს მისი ოპერაციები. ერთი უმთავრესი დანიშნულებათაგანი მისი არის არხის გაყვანა. არხის გაყვანაში-კი აუცილებლად ყველა წოდებამ ერთად უნდა მიიღოს მონაწილეობა, რადგან იგი ყველასთვის საჭიროა. მეორე არა უმცირესი დანიშნულება ამ ბანკისა დრენაჟია, ნოტიო ადგილების მილებით დაშრობა. ესეც ხშირად შეუძლებელია, თუ ერთსა და იმავე დროს ორ მეზობელს მამულში არ მოხდა და ჩვენში ხომ გლეხის, აზნაურისა და თავადის მამულები ყოველ ფეხის გადადგმაზედ ემეზობლებია ნერთმანეთს. იგივე შეიძლება ვთქვათ წყლის ნაპირების გამაგრების და სხ. შესახებ. დაგვრჩა მწირის ადგილების ხელოვნურის პატივით განაყოფიერება. ბანკს შეუძლიან ხელოვნური პატივი მარტო თავად[ს] და აზნაურს ასესხოს, გლეხს-კი ამგვარი სესხი არ მისცეს. მაგრამ რა სასარგებლო იქნება ეს თავად აზნაურობისათვის? ბანკი რომ არ გაკოტრდეს, იძულებული იქნება, რაც შეიძლება, მეტი სესხი გასცეს. ტფილისის სათავად აზნაურო ბანკს მით უდგია სული, რომ, სოფლელებს გარდა, ქალაქელებსაც აძლევს სესხს. სამელიორაციო ბანკი-კი სესხს მხოლოდ მემამულეებს მისცემს. მხოლოდ თავად-აზნაურობას რომ მიეცეს ეს სესხი, სხვა წოდებათა წარმომადგენელნი გამორიცხულ იქმნან, მაშინ

*) იხ. „ივერია" № 21.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშნული ანგარიში ყველა მისის მოქმედებისა, მაგრამ სოფელი ამ კანონებს მხარს უქცევს და თვითონვე ხდება ერთის მხრივ დამღუპველი ობლის ქონებისა.

მთელს გორის მაზრის ქართველობაში იშვიათად შეხვდებით სოფელს, რომ რამდენიმე ნასახლარი არ იყოს. ჩვენში, საზოგადოდ, სამ ოთხ დაცოლშვილიანებულს ძმას ერთ ოჯახად იშვიათად შეხვდებით. როგორც-კი ორივე ძმა შეირთავს ცოლს, მაშინვე გაიყრებიან. მარტოხელი გლეხი-კაცი იღვწის, ეწევა მარტოდ ცხოვრების ჭაპანს, დიდს ჯაფაშია; ეს ჯაფა და ვარამი მალე უსწრაფებს ცხოვრებას და ახალგაზდავე ესალმება წუთი-სოფელს. სტოვებს ახალგაზრდა ცოლს და ერთ ან ორ შვილს ობლად. რაკი ამ ახალგაზდა ქვრივების უმეტესობა „ოთარაანთ“ ქვრივისთანა მტკიცე და მაგარი ხასიათისა და მშრომელი არ არის, ამისთვის მალე თხოვდება. სოფელიც მაშინვე ობლებისა დ მისის ქონების პატრონად ჰნიშნავს მზრუნველს, იმ აზრით კი არა, რომ ობლებსა და იმათს ქონებას გაუფრთხილდეს, არა დაუკარგოს-რა, ფეხზედ დააყენოს, არამედ იმისთვის, რომ „ფოჩტის“ ფული და სხვა გარდასახადი აძლიოს დაუბრკოლებლივ სოფელს. მზრუნველიც სცდილობს გარდაცვლილის ნაღვაწი და ნაამაგარი მალე მოსპოს. ჰყიდის მოძრავს, რაც-კი წაუღებელი გადარჩა ახლად გათხოვილს ქვრივს, ჰყიდის სახლის ჭერსაც-კი, ვენახიც ხუთ-ექვსის წლის განმავლობაში ისპობა მოუვლელობით; ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ობლების ამული, თუ საკუთრებაა, მრავლეს ჰვარდება ხელში თითქმის მუქთად. [illegible] და ამ ნაირად ისპობა სიკვდილის შემდეგ შრომა და ღვაწლი [illegible]შაკის გლეხისა, მისი ობლები [illegible]რაოდ რჩებიან, იქსაქსებიან სხვა-სხვა ალაგას, ვიდრე პატარები [illegible]ან, მოჯამაგირეობაში ართმევთ[illegible]ის მამინაცვალი, მზრუნველი და ნათესავები და როცა ვაჟკაცდებიან, მომეტებულნი ველარ ჰბრუნდებიან თავიანთ მამა-პაპეულზედ, [illegible]გან იქ ყველაფერი გავერანებულა და კარგს ვერას მოელიან; თუ ბრუნდება ვინმე მამა-პაპეულზედ და იწყებს ახალ ცხოვრებას, ეს ცხოვრებაც ვაებისაა და სიღარიბისა, რადგან ყველაფერი ახლად უნდა შეიძინოს. აი, სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ ყველა სოფელში ჰნახავთ ნასახლარებსა და გავერანებულს ვენახებს. ამნაირი შემთხვევა ცოტა არ გეგონოთ. ყოველს სოფელში შეხვდებით ამისთანა მაგალითს არა ერთსა და ორს.

დარწმუნებული ვარ, რომ ობლებისა და მათი ქონების უყურადღებოთ დატოვება მარტო გორის მაზრაში არ არის, ასეა ყველგან—საქართველოში. ეჭვი არ არის, რომ ეს საგანი საყურადღებოა და მალე მისაშველებელი. აუცილებლად საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სამზრუნველო საქმეებსა, ობლებისა და იმათის ქონების დაცვას; საჭიროა არ დაარღვიონ მხოლოდ კანონი, რომელიც ამ საგნის შესახებ არის დადგენილი. თუ ჩქარა არ მიაქციეს ყურადღება ამ ჩვენ მიერ დასახელებულს ნაკლს, კიდევ ბევრი და ბევრი ოჯახი გასწორდება მიწასთან. ჩემის აზრით, ობლებისა და მათის ქონებისათვის ზრუნვა ხარჯთ-ამკრებ ინსპექტორებს უნდა ჩაჰბარდეთ, რადგან იმათი მოვალეობაა თვალყური ადევნონ გლეხთა ეკონომიურს მდგომარეობასა და ცხოვრების მსვლელობას *).

ხვითელი

---

*) ჩვენის აზრით, ხარჯთ-ამკრებ ინსპექტორებს ამისათვის არც დრო აქვთ და არც მოცალეობა. ეგ საქმე სოფლის საზოგადოების მზრუნველობას ვერ გამოეწირება, მხოლოდ იმის ცდა-კი უნდა იყოს გაწეული, რასაკვირველია, რომ ობლებისა და მათის ქონების პატრონობის საქმე უკეთ მოეწყოს. საზოგადოდ ეს საქმე ცუდს გარემოებაშია არა მარტო გლეხთათვის, არამედ, სხვა წოდებათათვისაც. სახელმწიფო საბჭოში უკვე წარდგენილია პროექტი ახალის ობოლთა სამზრუნველო წესდებისა და როდესაც დამტკიცდება ეს წესდება, ბევრის მხრივ შესცვლის აწინდელს წეს-რიგსა. მაინც ვბეჭდავთ ამ წერილს სოფლის საზოგადოებათა საყურადღებოდ.

რედ.

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გაზეთ „Кавказъ“-ის გუშინდელ ნომერში დაბეჭდილია საყურადღებო წერილი შტაბ-როტმისტრის ბორის ესაძისა მცხეთის ეკლესიის განახლების შესახებ. ბ-ნი ესაძე, ამბობს რა თავისს წერილში არა ერთხელა და ორჯელ გამოთქმულს აზრს, რომ რაც დრო და ხანი გადის დიდებანი საქართველოსი—შესანიშნავი ტაძრები ინგრევა და მათი ხსენება სრულიად ჰქრებაო, განაგრძობს.

„სანამ კიდევ დროა, ძველის უფრო შესანიშნავის ეკკლესიების და მონასტრების განახლებას შევუდგეთ, რათა ესენი მაინც გადავარჩინოთ განადგურებისა და დაღუპვისაგან. ამ საქმეს პირველი ყურადღება მიაქცია ხელმწიფე იმპერატორმა, რომელმაც ჰბრძანა ხელის-მოწერა იქმნას გამართული მცხეთის ტაძრის განსაახლებლად ფულის მოსაკრებადო. თუმცა შემდეგისამებრ შემოწირულება იგზავნება ყოველის მხრიდგან, მაგრამ ეს წვრილმანად შეკრებილი ფული ტაძრის განსაახლებლად საკმაო თანხას მაინც ვერ შეადგენს. გარდა ამისა, ეს ფული დრო-გამოშვებით იკრიბება, ამიტომ ძნელია წინდაწინვე სთქვას კაცმა, რამდენი მოიკრიბება და საკმაო იქნება თუ არა ამ დიდებულის ტაძრის განსაახლებლად. საჭიროა სხვა სახსარი იქმნას გამონახული. როდესაც მე წამიკითხავს გაზეთებში წერილები მცხეთის ტაძრის შეკეთების შესახებ, რამდენჯერ მე მომსვლია აზრად, რომ საჭირო თანხა სულ ცოტა ხანში იქმნება მოკრებილი, თუ უწმ. სინოდი ბრძანებას გასცემს რუსეთის იმპერიის ყველა მართლ-მადიდებელმა ეკკლესიამ თითო მანეთი მაინც გამოუგზავნოს მცხეთის ტაძარს. ერთის მანეთის გაღება ხომ ღარიბი ეკკლესიისათვისაც ძნელი არ არის და ამ თითო მანეთისაგან კი კარგა დიდი თანხა შესდგება, სახელდობრ 20,000 მანეთზედ არა ნაკლებ. ეს ფული, ამას გარდა, სულ მცირე ხანში შეიკრიბება. ამ რიგად, თუ ეს ჩემი აზრი საქმით განსახორციელებელია, საკმაო თანხა მოიკრიბება და შესაძლებელი იქმნება ტაძრის განახლების საქმეს შეუდგნენ.

რასაკვირველია, ამასთან ერთად შემოწირულებაც მოიკრიბება. საზოგადოება რაკი დაინახავს, რომ ეკკლესია თავისს წვლილს არა ჰზოგავს ძველ წმიდა ნაშთისათვის, ისინიც უფრო ყურადღებას მიაქცევენ ამ საქმეს და უფრო მეტს გაიღებენ განსაახლებელ თანხის გასამდიდრებლად.

დასასრულ არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ, რომ როდესაც საქართველოს ამ ძველის ხუროთ მოძღვრების ნაშთის შეკეთებას შეუდგებიან, საჭიროა მაშინვე ეს საქმე გარდაეცეს მცოდნე მხატვართ, რომელთაც შესწავლილი აქვს ქართული საშუალო საუკუნოების საეკკლესიო მხატვრობა. ეკკლესიის განსაახლებლად მარტო ერთი თანხა არ არის საკმაო: საჭიროა აგრეთვე საქმის სიყვარული და მცოდნე, ნასწავლი კაცები. მხოლოდ ასეთის პირობებით შეიძლება საქმემ სასურველი ნაყოფი მოიტანოსო“.

# რუსეთი

—

როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან, შიდა რუსეთის რამდენსამე საგუბერნიო ერობას შუამდგომლობა აღუძრავს იმის შესახებ, რომ ერობებს ნება მიეცეთ მთავრობის დაუკითხავად დააარსონ ხოლმე, სადაც საჭიროდ სცნობენ, სახელოსნო და შინა მრეწველობის სკოლები.

— გაზ. „С. О.“ იუწყება, რომ ერთ რუსს გამოუგონია ერთგვარი მანქანა, რომლითაც ძალიან ადვილია კალიის გაწყვეტაო.

— მთათა დეპარტამენტს აზრადა აქვს გამოსცეს წიგნი, რომელშიაც დაწვრილებით აწერილი იქმნება ის, თუ რა მდგომარეობაშია ამ ჟამად მთა-მადნის წარმოების საქმე რუსეთში და ისტორია წარმოებისა ამ უკანასკნელ 25 წლის განმავლობაში.

— როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან, მთავრობას აზრადა აქვს პეტერბურგში ერთი ახალი უმაღლესი სასწავლებელი კიდევ დააარსოს. ამ საგნის განხილვას საერო განათლების სამინისტრო ახლო მომავალში შეუდგება.

# უცხოეთი

—

ჰოლანდია. ჰაგის სამშვიდობო კონფერენციაზედ მიწვეულნი არ არიან აფრიკის რესპუბლიკების წარმომადგენლები. ეს გარემოება ძლიერ საწყენად აქვთ ნიდერლანდელებს და დამნაშავედ ამ საქმეში თავიანთ მთავრობას რაცხვენ, თუმცა ამა თუ იმ სახელმწიფოს მოწვევა კრებაზედ რუსეთის მთავრობის ნებაყოფლობაზედ იყო დამოკიდებული, და არა ჰოლანდიისაზე. ჰოლანდიელები ამბობენ, რომ მართალია რუსეთის სურვილი იყო, ვინ უნდა ყოფილიყო მოწვეული, და ვინ არა, მაგრამ რადგან მოსაწვევი ბარათები ჰოლანდიაში დამზადდა, ჩვენს მთავრობას უნდა ეზრუნა, აფრიკის სახელმწიფონიც ყოფილიყვნენ მოწოდებულნიო. ასეთი უყურადღებობა აფრიკის რესპუბლიკებთა მიმართ მით უფრო აკვირვებს ნიდერლანდის გაზეთებს, რომ კრებაზედ აზიის სახელმწიფოების წარმომადგენლები მიწვეულნი არიან. ტრანსვაალი თუ ოფიციალურად ცნობილი არ არის დამოუკიდებელ სახელმწიფოთ, ამბობენ ხსენებული გაზეთები, რადგან 1884 წლის ხელშეკრულობა ინგლისს დაუ[?]დევლად მიაჩნია, რა დაუშავა ორანჟეს რესპუბლიკამ, რომლის დამოუკიდებლობაში ეჭვს ვერავინ შეიტანსო.

—

კრიტი. ჩვენს გაზეთში მოხსენებული იყო, რომ კრიტის გენერალ-გუბერნატორი, ბატონიშვილი გიორგი კონსტანტინეპოლში აპირებს წასვლას ხონთქრის სანახავადო. ესლა ზოგიერთი გაზეთები ამტკიცებენ, რომ ბატონიშვილმა ჯერ-ჯერობით თავი დაანება ამ განზრახვასო. ამის მიზეზად იმას ასახელებენ, ვითომც პორტა მალულად ხელს უშლიდეს ბატონიშვილს—მშვიდობიანობა დაამყაროს კუნძულზედ, რისთვისაც იგი ძლიერ გულნატკენია ოსმალეთის მთავრობაზედ. საქმის ასეთ

---

ბანკი მალე განუტევებს სულს. [illegible]ლიორაციო ბანკს მთელი სამი[illegible]მოქმედო საქართველო უნდა ჰქონ[illegible]ს თავისს სამოქმედო მოედნად, [illegible]ლოდ მაშინ იქნება იგი მტკიცე, [illegible]ლოდ მაშინ გაადიდებს თავის [illegible]პერაციებს და შესამჩნევს სარგებლობას მოუტანს როგორც თავადაზნაურობას, აგრეთვე სხვა წოდებათ. [illegible]მელიორაციო ბანკი რომ თავისდა[illegible]ვად წოდებრივი არ არის, ეს ისე ცხადია, რომ თვით ბ-ნი ივანე როსტომაშვილი უარ-ჰყოფს ამ აზრს [illegible]ავისს წერილისავე შემდეგ პარაგრაფში.

კიდევ უფრო საკვირველია ბ-ნ ივანე როსტომაშვილის შემდეგი აზრი: „ამ (სამელიორაციო) ბანკით ისარგებლებენ მარტო ისინი, რომლებიც [illegible]წა-წყლის მესაკუთრენი არიან და [illegible]ლხის დანარჩენი ნაწილი კი, რომლის რიცხვი იმდენივე იქნება, რამდენიც მიწა-წყლის მესაკუთრე, — სრულიად სამელიორაციო ბანკის მოქმედების ფარგლის გარეშე დარჩება“. ბ ნი ივანე როსტომაშვილი იმეორებს აქ ბ-ნ ფ. მახარაძის აზრს.

ჩვენ კი ასე გვგონია, რომ ჩვენში მიწა-წყლის მესაკუთრე ბევრად მეტია, ვიდრე ერის დანარჩენი ნაწილი, რასაც ცხადად გვიმტკიცებს ქალაქელთა რიცხვის სიმცირე სოფლელთა რიცხვთან შედარებით. საინტერესოა, როდის ჩაეწერა ბ-ნ ივანე როსტომაშვილი ჩვენებურ' ნეო-მარქსისტების დასში?!.

მიწათ-მოქმედება რომ ქართველი ერის უმეტესობის წარმოებას შეადგენს, ამას თქმა არ უნდა, და თუ მიწათ-მოქმედებას გავაუმჯობესებთ, თუ მის მწარმოებელ ძალას განვავითარებთ, ეს ყველა სოფლელისათვის სასარგებლო იქნება, როგორც მემამულეებისა, ისე მოიჯარადრების და მუშებისათვისაც.

სამიწათ-მოქმედო წარმოების გაუმჯობესებას ექმნება შედეგად, ხალხის კეთილდღეობის ამაღლებასთან ერთად, მისის ცნობიერების განვითარება და ფეოდალური ცრუმორწმუნეობისა და თვითნებობის შემცირება. წარმოების გაუმჯობესება მტერია ფეოდალიზმისა.

სამიწათ-მოქმედო წარმოების გაუმჯობესებას თან მოჰყვება ქალაქის განვითარებაც. ქალაქი შვილია სოფლისა: იგი იკვებება, იზრდება სოფლის ძუძუთი. თუ სოფელი მდიდარია, მაშინ ქალაქიც მდიდარია, რადგან პირველი ბაზარია მეორისა. ამგვარად სოფლის სიმდიდრე ხელს უწყობს კაპიტალიზმის განვითარებას.. ამიტომ რუსეთელ მწერალს ბელტოვს, რომელსაც კაპიტალიზმი აუცილებელ სოციალურ საფეხურად მიაჩნია რუსეთისათვის, რუსეთის გლეხის ბედ-იღბალიც აინტერესებს. ჩვენი მარქსისტები-კი ძალიან უფრთხიან სოფელს. ამათი მამა-მთავარი ბ-ნი ნ. ჟორდანია მუდამ „ქალაქ! ქალაქ!“-ს გაიძახის და ურჩევს ახალგაზდობას, სოფელს თავი დაანებე, მხოლოდ ქალაქში იმოქმედეო. მიუტევებელი ცალ-მხრივობაა. იგი თავისს ამგვარ ქადაგებას აფუძნებს ასეთს მოსაზრებაზედ: ეხლანდელის ცხოვრების მიმართულებას შეადგენს საფაბრიკო წარმოების მეტად ჩქარი განვითარება, სასოფლო წარმოება იმას ვერ მიჰყვება, უკან რჩება; ჩვენც იმას უნდა მივაქციოთ მთელი ჩვენი ყურადღება, რასაც ისტორიულად მეტი დანიშნულება აქვს; ის ნიადაგი, რომელზედაც ჩვენ შეგვიძლიან ვიმოქმედოთ, ჯერ თუმცა ვიწროა, მაგრამ თან და თან ფართოვდება. ამიტომ სჯობს ეხლავე დავიწყოთ ამ ნიადაგზედ მოღვაწეობა და ისტორიაც ხელს შეგვიწყობსო.

ჩვენ კი ასე მოვახსენებთ ბ-ნს ნ. ჟორდანიას: ის ნიადაგი, რომელიც ბ-ნ ნ. ჟორდანიას ამოურჩევია ერთად-ერთ სამოქმედო მოედნად, ჯერ ძლიერ ვიწროა. აქ მოღვაწეობა მხოლოდ მცირეოდენ ნაწილს უნდა შეადგენდეს საზოგადო მოღვაწეობისას. ვიდრე ის ნიადაგი ჩვენის ცხოვრების ღერძად გადიქცეოდეს, ბევრი ჩაილულის წყალი ჩაივლის, და, მანამდის რომ სხვა არა ვქმნით რა, სული ამოგვხდება. ჩვენა გვაქვს სხვა მოთხოვნილებანიც, ურომლისოდაც ცხოვრება შეუძლებელია. უნდა ვცდილობდეთ ჯერ ჩვენის ცხოვრების უფრო ელემენტარულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, რასაც შედეგად ამ ნიადაგის გაფართოებაც მოჰყვება, შეჰქმნის ამ ნიადაგსაც. ჯერ თუ პირველი საფეხური არ გაგვივლია, ისე მეორე საფეხურზედ ვერ შევდგებით. ახალ-დაბადებულ ბავშვს ხორცს ვერ აჭმევთ იმ მოსაზრებით, რომ ბოლოს და ბოლოს ხორცით უნდა ისაზრდოოსო; ჯერ საჭიროა რძით გამოჰკვებოთ, გაამაგროთ, გააძლიეროთ, მოამზადოთ ხორცის საჭმელად და მხოლოდ მას უკან მიაწოდოთ ხორცი, ისიც თანდათანობით. ჩვენი საზოგადო მოღვაწეობა უნდა შევუხმოთ, ეკონომიური მატერიალიზმის თანახმად, გარეშე ვითარებას, პირველი მეორის შედეგი უნდა იყოს; უნდა შევიმუშაოთ ჩვენის საზოგადო მოღვაწეობის პროგრამმა ჩვენის ცხოვრების ვითარებისა დაგვარად და არა მხოლოდ წამბაძველობით უნდა წავბაძოთ მხოლოდ იმგვარ მოღვაწეობას, რომელიც შესაძლებელია ჩვენს გარემოებაში, რადგან სხვა-და სხვა მწერლობა სხვა-და-სხვა პროგრამმასა ჰქმნის.

ვ. წ.

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდგომარეობის დროს უკლად შეუძლებელი და უდროვო არისო, ამბობენ გაზეთები, კრიტის გენერალ გუბერნატორმა ნახოს კუნძულის უზენაესი მფარველიო.

ამას გარდა გაზეთები გვაუწყებენ, ვითომც ბატონიშვილს გიორგის თავისი სურვილი განეცხადებინოს ოთხ დიდ სახელმწიფოთათვის, რომ გენერალ კონსულების ნაცვლად იმათ დიპლომატიური აგენტები იყოლიონ კრიტის კუნძულზე, რადგან კრიტს აზრად აქვს ისეთი დამოკიდებულება ჰქონდეს ოსმალეთის სულთანთან, როგორიც ბოლგარიას აქვსო. დიდ სახელმწიფოებს ჯერ კერ დაუნახავთ შესაძლოდ ამ თხოვნის დაკმაყოფილება.

—

**იაპონია**. იაპონიის გაზ. „კოკუმინ შიმბუნ“-ში დაბეჭდილია ლორდ ბერესფორდის წერილი, რომელიც გაუგზავნია მას ტოკიოს ოლქის სასამართლოს უფროს თავმჯდომარისთვის. ამ წერილში გამოცხადებულია აღტაცება ბერესფორდისა იაპონიის სამოსამართლო წეს-წყობილების გამო. შემდეგ ლორდი ამბობს, რომ ინგლისისა და იაპონიის მეგობრულს განწყობილებას არაფერი არ შეუშლის ხელს. ასეთი განწყობილება ორთავე სახელმწიფოსთვის ძლიერ საჭიროა თავიანთის ადებმიცემობის გასაძლიერებლადო.

იმის გამო, რომ იტალიას განზრახული აქვს ჩინეთის ერთ-ერთი ნავთსადგური ჩაიგდოს ხელში, იგივე გაზეთი („კოკუმინ შიმბუნ“-ი) ამბობს, რომ იაპონია თანაუგრძნობს ამ საქმეში იტალიას, რადგან ეს უკანასკნელი მუდამ მეგობრულად ეპყრობოდა იაპონიას, და ამას გარდა კიდევ იმიტომ, რომ ინგლისი მხარს აძლევს იტალიასო. დასასრულ გაზეთი გულახდით აცხადებს, რომ თუ ვინიცობაა, იტალიის მოქმედებამ ჩინეთის განაწილება გამოიწვია, იაპონია გულ ხელ დაკრეფილი არ დაუწყებს ცქერას ამ საქმეს და თავისს ინტერესებს არავის დაუთმობსო.

## დამაკვირდი

ჩემი სისხლი დაიურვე,
გამიკითხე სამართლითა.

როსტომიანი

* * *

სიმდაბლე არს ძნელად მოსაკაზმები და ადვილად საპოვნელი.

სულხან საბა

* * *

ბრძენი ის არ არის, ვინცა ბრძნულად მეტყველებს, არამედ ის, რომელიც ბრძნულადცა სიტყვაობს და ბრძნულადცა იქცევა.

ლასურიძე

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ერთი ინგლისური გაზეთი მეტად უცნაურს ამბავს იუწყება. ამ გაზეთის სიტყვით, მეცხრამეტე საუკუნეში რამდენიმე მაგალითი ყოფილა, რომ განათლებულს ინგლისში ქმარს თავისი ცოლი გაუყიდნია. 1808 წელს, მაგალითად, ერთ ინგლისელს თავისი ცოლი შეფილდში წაუყვანია და იქ ბაზარში 7 მანეთად გაუყიდნია. 1820 წელს მეორე ინგლისელს თავისი ცოლი კენტერბიურში 1 მან. 60 კაპეიკად გაუყიდნია. შემდეგ ქალების ფასი აწეულა და 150 მანეთამდე ასულა. მაგრამ მალე ფასი ისევ დაცემულა, ასე რომ 1855 წელს დერბიში ერთს კაცს თავისი ცოლი მხოლოდ 55 კაპეიკად გაუყიდნია. ეს კიდევ არაფერი: 1882 წელს ალფიტონის ერთს მცხოვრებს ცოლი გაუყიდნია და მხოლოდ 15 კაპეიკი აუღია. ამ ოთხის წლის წინად ლიტოსის ერთს მცხოვრებს ორ-ცოლობა ჰბრალდებოდა. ბრალდებულმა სასამართლოში თავისს გასამართლებელ საბუთად ის წარადგინა, რომ პირველი ცოლი 96 კაპეიკად გავყიდე და ამიტომ ნება მქონდა მეორე ცოლი შემერთოო. სასამართლომ ბრალდებულს 18 თვით საპყრობილეში დაპატიმრება მიუსაჯა. ამ ბოლოს დროს, სახელდობრ 1896 წელს, დონკასტერში ერთის საქმის გარჩევის დროს გამოირკვა, რომ ვილაც ჯონ ტატს მიუყიდნია თავისი ცოლი 4 შილითურთ ვილაც ენოქ ჩალიდისთვის.

* * *

ამ ბოლოს დროს ევროპის ჟურნალ-გაზეთებში ძალიან ბევრსა სწერენ მომავალ კონფერენციის შესახებ, რომელიც გააგაში უნდა მოხდეს და რომელსაც საგნად შეიარაღების შემცირება ექმნება. ამასთან მოჰყავთ სტატისტიკური ცნობები ომებისა და იმ ზარალის შესახებ, რომელსაც ომი სახელმწიფოებს აყენებს. სხვათა შორის ერთს ფრანგულს გაზეთში დაბეჭდილია წერილი შარლ მალოსი. როგორც ამ წერილიდგანა სჩანს, ამ უკანასკნელ 97 წლის განმავლობაში მომხდარი ომები რომ ერთი ერთმანეთზედ გადავაბათ, სახელმწიფოებმა ომში სულ 68 წელიწადი გაატარეს: აქედგან საფრანგეთს უომნია 27 წელიწადი, ოსმალეთს—37 წელიწადი, ესპანიას—31 წ., რუსეთს—21, ხოლო პრუსიას—12 წელიწადი. უმეტეს ნაწილად ომი გაზაფხულზედ დაწყობილა და ზამთრის პირველ რიცხვებში გათავებულა. წაფხულში სულ ოთხი ომი დაუწყიათ: 1806, 1812, 1866 და 1870 წლ., შემოდგომაზედ ერთი ომი—ყირიმისა, ზამთარში ორი: პოლონეთისა—1831 წელს და გოლშტეინისა—1864 წელს. ჯარის-კაცთა რიცხვი დღითი დღე იზრდება. თუმცა ამ ბოლოს დროს ევროპის ყველა სახელმწიფოს აუარებელი ჯარი ჰყავს, მაგრამ ბრძოლის ველზედ ჯერ იმდენი ჯარი არ გასულა, რამდენიც 1813 წელს გავიდა, როდესაც ნაპოლეონ დიდის წინააღმდეგ მთელი ევროპა აჰხედრდა. ამ ბრძოლაში მონაწილეობა მიიღო სულ 472,000 კაცმა, აქედგან 301,500 კაცი ევროპის მოკავშირე სახელმწიფოთ გაიყვანეს, ხოლო 161,000 კაცი ნაპოლეონმა. ბრძოლა ლეიპციგის მახლობლად მოხდა; დაიწყო 16 ოქტომბერს და გასტანა ოქტომბრისავე 19-ტამდე. ლეიპციგის შემდეგ ჯარის-კაცების სიმრავლით პირველი ადგილი უჭირავს სადოვას ბრძოლას (436,000 ჯარის-კაცი), ვაგრამის (310,000), ს.-პრივას (300,000), დრეზდენის (296,000), სალფერინოს (284,000), ბაუცენს (259,000), ბოროდინოს (251,000), სედანს (244,000), ვატერლოს (217,000) და სხვა. ყველაზედ მეტი ჯარის-კაცი დაიღუპა 1812 წელს ნაპოლეონის რუსეთზედ გამოლაშქრების დროს; უმეტესად ეს ჯარის-კაცები დაიღუპნენ სიცივისა და შიმშილისაგან, ვიდრე მტრის ტყვიისაგან. ნაპოლეონს, როდესაც რუსეთის საზღვარს მიუახლოვდა, ჰყავდა სულ 442,000 ჯარის-კაცი, როდესაც მდინარე ნემანს გადავიდა—363,000, სმოლენსკთან—185,000, ბოროდინოსთან—134,000, მოსკოვში ნაპოლეონმა მხოლოდ 95,000 კაცი-ღა შეიყვანა. უკან დაბრუნებისას ეს რიცხვი უფრო შემცირდა,—ასე რომ როდესაც ნემანს გადავიდა, ნაპოლეონს სულ 8,000 კაცი-ღა ჰყვანდა 442,000 კაციდგან. ყირიმის ომის დროს 300,000 კაცზედ მეტი დაიღუპა. ბევრი ხალხი დაიღუპა აგრეთვე საფრანგეთ-გერმანიის ომის დროს 1870—1871 წელს. ამ საუკუნეში ყველაზედ დიდხანს, სახელდობრ 11 წელიწადს გასტანა ომმა ნაპოლეონსა და ინგლისს შორის; სამმა ომმა ორ-ორი წელიწადი გასტანა, ხუთმა—თითო წელიწადი. ყველაზედ მცირე ხანს, სულ 6 დღე, ავსტრიისა და პიემონტის შორის ომმა გასტანა.

## საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები

(წერილი: ჲვ)

ნუსხური ხელნაწერი № 126 (in quart, ფურც. 312, ბოლო აკლია) გადაწერილია უცნობისაგან, რომელიც ამბობს (ფურც. 221): „დაიწერა წიგნი ესე ქორონიკონსა: სოდ (=1586 წ.). დიდებაჲ ღმრთისა სრულ მყოფელსა ყოველთა კეთილთასა აწ და უკუნისამდე ამინ“.

შინაარსი: ა) დავით გარესჯელის უქმობა შემდგომად ამაღლებისა ხუთშაბათს, ბ) ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმ. და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა დავით გარესჯელისა (ფ. 30), გ) თქმულნი წმ. ეფრემისნი, რათა ვიქმოდეთ მცნებათა ღთისათა სურვილით, მისივე სინანულისათვის, მეორედ მოსვლისათვის, გ) თქმულნი იოანე ოქროპირისა, ბასილი დიდისა და სხ. შესახებ მომთვრალეთა, მემღერეთა, მგოსანთა, განმცხრომთა და ყოვლისა სახიობისა მომქმეთა, ამპარტავანთა, ზვავთა, დ) სიბრძნისაგან პლატონ ფილოსოფოსისა, ე) იოანე ოქროპირისა შესახებ იმისა, რომ „არა ჯერ არს უზომოდ გლოა მიცვალებულისა“, ვ) სწავლანი დოროთესნი ვნებათათვის და სხ., ზ) ცხორებაჲ და განგებაჲ ნასიმესი, რომელი იყო ასული მეფისა მეგვიპტელისა და იქმნა მამასახლისი უდაბნოსა მძოვართა ზედა, რიცხვით ოთხასთა, ჱ) სიბრძნისაგან ფილოსოფოსისასა.

ხელნაწერის 73 ფურცლის არშიაზე შვენიერის, გარნა მკვლის, ხელით სწერია:

ქ. რამეთუ ავაზაკი არა თუ სადა ბზე და თივა, არამედ სადა ოქრო და ვეცხლი. მუნ დაადგრიან, მუნცა უწყინ, უმზირიედ; ეგრეცა ეშმაკი უმზირის სულიერთა, რომელთა კელუყოფიეს საქმისა მის კეთილისა; მუნ ფრიად ძვირის-ზრახვა, სადაცა არს სათნოებაჲ; მუნ შური, სადაცა არის ქველის საქმე; ვითარცა იზრდების კორცი, ეგრეთვე იზრდების სული; კორცთათვის პური, ხოლო სულისათვის სიტყუა.

ამომაქვს რამდენიმე თქმულება ფილოსოფოსთა სიბრძნეთაგან.

ა) გულისკმის ყოფით იქმოდე თავისა თვისისა ცხორებასა.

ბ) სიბრძნე და წურთვილება, ვითარცა სამოთხე განიერი, ყოველსავე კეთილსა მოიღებს.

გ) სწავლულებისაგან ძირნი მწარე არიან, ხოლო ნაყოფნი ტკბილ და შვენიერ.

დ) რაჲ არს საწადელ სოფელსა შინა? სიწმიდე, სიბრძნე, ღირსებაჲ და მეგობარი სარწმუნო, მტკიცე.

ე) მეფე იგი არს, რომელსა ძალ ედვას უფლებაჲ ვნებათა ზედა მავნებელთა და მძლე ექმნას გულის თქმათ.

ვ) საწადელ იყავ სოფელსა ამას შინა და ნუ საშინელ, რამეთუ რომლისაგან ყოველთა ეშინის, მას ყოველთაგანვე ეშინის, ინებე შენთანა მყოფთა რათა ჰრცხვენოდეს შენგან უფროს, ვიდრე-ღა ეშინოდეს, რამეთუ სირცხვილსა შეუდგეს პატივი და სიყვარული, ხოლო შიშსა სიძულილი; შიში ლიქნასა იქმს, ხოლო სიყვარულსა ვერ მოიკებს.

ზ) დასაბამი ამპარტავნებისა არის ცუდად მზვაობრობაჲ და შეურაცხის მყოფელი მოყვასისა და შრომათა ურცხვინოდ ქადაგებაჲ და გულსა შინა ქებაჲ თვისთა სათნოებათა.

ჱ) სადაცა ამპარტავნებაჲ იქმნას, მუნ უეჭველად დაირღვეს ყოველი კეთილად ნაშენები.

თ) ამპარტავნებაჲ წარმწყმედელი არს ყოველთა ოფლთა და შრომათა კეთილთა, და ყოველისავე სათნოებისა, სიმართლისა და სიწმიდისა, და სიმდაბლისა.

მ. ჯანაშვილი

## ახალი წიგნები

—

რედაქციამ მიიღო რუსული წიგნი „Опытъ изслѣдованія сельскаго хозяйства хлѣбороднаго района Эриванской губерніи и карсской области“, შედგენილი ს. ზავაროვისაგან, ხოლო გამოცემული კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მიერ. წიგნში დაწვრილებით აღწერილია ერევნის გუბერნიისა და ყარსის ოლქის ბუნება, ჰავა, ნიადაგი და ის, თუ რა დარგებს სოფლის მეურნეობისას მისდევენ იქ მცხოვრებნი. აღნიშნულია აგრეთვე მოუსავლობის მიზეზები და ნაჩვენებია საჭირო ღონის-ძიებანი მოუსავლობის თავიდგან ასაცილებლად. წიგნი დიდია და შეიცავს 434 გვერდს.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

12 აპრილი

**კოპენჰაგენი**. ხელმწიფე იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული ნაშუადღევის 4 საათზედ საიმპერატორო გემით „შტანდარტით“ ლიბავაში წაბრძანდა. მეფემ და სამეფო გვარეულობის წევრებმა ნავთსადგურამდის გააცილეს.

**პარიჟი**. „ფიგაროში“ დაბეჭდილია ჩვენება სტრონგასი და ბილიოსი. სტრონგამა სთქვა, რომ ესტერგაზიმ რამდენჯერმე გამომიცხადა: ბორდერო ჩემი დაწერილია სანდგერის ბრძანებისამებრო. მოწმემ დაწვრილებით აღნიშნა, თუ როგორ მომხდარა ეს სიყალბე. ბილიომ ამტკიცებს პირველ სერიის პანიცარდის დეპეშებისას, სადაც ნათქვამი იყო: „დრეიფუსი დატყვევებულ იქმნა. ემისსარი გავაფრთხილეთო“. დეპეშების მეორე სერიაში სიტყვების: „ემისსარი გაფრთხილებულ იქმნა“-ს მაგიერ მთელი ხუთი-ექვსი სტრიქონი იყო მოყვანილიო. ბილიომ მოითხოვა დეპეშების დედანი, მაგრამ გარეშე საქმეთა სამინისტრომ არ გარდასცა.

**მადრიდი**. თავისუფალ მოაზრეთა კრილობაზედ ცხარე სიტყვები წარმოითქვა იეზუიტების წინააღმდეგ. სიტყვა წარმოსთქვეს ქალებმაც. მანიფესტაციის მოხდენაც კი ჰსურდათ, მაგრამ პოლიციამ დაუშალა.

13 აპრილი

**ვლადიკავკაზი**. ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა სისხლის სამართლის საქმე, რომელიც ვლადიკავკაზის ოლქის სამმართველოს მიერ 90,000 მან. გაფლანგვას შეეხებოდა. გაფლანგულ იქმნა ოსთაკან გარდახდილი საჯარო ფული. პალატამ დამნაშავედ იცნო ბუხგალტერი კრინიცკანი და ზოგიერთა უფლებათა ჩამორთმევის შემდეგ სამის წლით „არესტანტსკი როტაში“ გაგზავნა მიუსაჯა, ხოლო მის თანაშეწე სემენოვს—სამსახურიდგან გადიდგომა. ამ საქმეში მცირე ყურადღების გაწევის გამო ბრალდებულს, ვლადიკავკაზის ოლქის უფროსს პოდპოლკოვნიკს მასჩენკოს კი საყვედური გამოუცხადა. გაფლანგული ფული უნდა გადაიხადოს კრინიცკანმა, ხოლო თუ მან ხელ-მოკლეობისა გამო ვერ შეძლო ფულის გადახდა, მაშინ მიშჩენკომ და სემენოვმა უნდა გადაიხადონო.

**პარიჟი**. საკასაციო პალატამ, ხალხის დაუსწრებლათ, ჩვენება ჩამოართვა ფრეიმტეტტერს, ლეპინს, ბესტილიუსსა, გენერლებს გონზსა და როჟეს. არავინ იცის ერთმანეთს პირში წაუყენეს იგინი, თუ არა.

—✦✦—

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ გამგეობამ მიიღო 1899 წლის მარტის თვის განმავლობაში:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| 1) საწევრო ფული: | | |
| 1) თ. ივანე გიორგის ძე აბაშიძისაგან . . . . . . | 6 | „ |
| 2) ალექსანდრე დავითის ძე ზუბალაშვილისაგან . . . . | 6 | „ |
| 3) იაგორ გურგენის ძე მამინაიშვილისაგან . . . . . | 6 | „ |
| 4) თომა ზაქირიას ძე ნასიძისაგან . . . . . . . | 2 | „ |
| 5) გიორგი დიმიტრის ძე ხმიადაშვილისაგან . . . . | 6 | „ |
| სულ | 26 | „ |
| 2) შემოწირულებანი: | | |
| 1) ბაქოში გამართული საღამოს შემოსავალი . . . . | 2785 | 40 |
| 2) განჯაში გამართულ საღამოს შემოსავალი . . . . | 366 | 35 |
| სულ | 3151 მ. | 75 კ. |

საზოგადოების გამგეობა უღრმესს მადლობას უძღვნის იმ პირთ, რომელთაც ითავეს და გამართეს საზოგადოების სასარგებლოდ ბაქოსა და განჯაში საღამო.

## შემოწირულება

მცხეთის ტაძრის განახლების სასარგებლოდ შემოსწირეს, თ. ნასიძემ 50 კ., ლ. რცხილაძემ 20 კ., ს. ნაკაშიძემ 40 კ., ა. წერეთელმა 20 კ., კ. გამრეკელმა 20 კ., კარგარეთელმა 20 კ., ვ. რცხილაძემ 20 კ., ერ. გაბისიანმა 20 კ., ვ. ინაშვილმა 20 კ., ევგ. შომახიამ 20 კ., ხ. ნიჟარაძემ 10 კ., ზაზანაშვილმა 10 კ., კ. ოჰანესოვმა 10 კ., თ. რუსიშვილმა 10 კ., და გ. გოჯიევმა 20 კ., სულ—3 მ. 10 კ.

ამ ფულის წარმოგზავნასთან ერთად თ. ნ—ძე გვაცნობებს, რომ აქ დასახელებულ შემომწირველთ იკისრეს ყოველთვე შემოწირვა ამდენისავეო.

## წერილი რედაქციის მიმართ

—

მადლობას შევწირავთ ბ-ნ სახოკ[...], რომელმაც ყაზანის სასულიერო აკადემ[...] შემოსწირა ორი ქართული წიგნი: „[...]თი“, მოთხრობა ემილია პარდობა[...] და „ამირანის შვილნი“—მორდოვ[...] თარგმნილნი და გამოცემულნი მის მიერ[...]

ყაზანის ქართველ სტუდენტების [...]
ბილობით ს. გო[...]


# განცხადება

# „პატარა კა[...]

ნამდვილ კახურ ღვინის გასაცხ[...] გაიხსნა ახლად საწყობი „პ[...] კახი“ კუკიაში, პირველ თუმ[...] ქუჩაზედ, ნ. ვ. მთვარელი[...] სახლ ქვეშ, № 18. ბოთლი [...] ხოლო ვედრო 2 მანეთიდამ [...]ბული. (5—[...]

წერა-კითხვის გამავრც. საზოგად[...]ბის წიგნის მაღაზიაში (Дворц. [...] д. т. д. № 101) ისყიდება

# იაფა[...]

სადღესასწაულოდ ბავშვებისათვ[...] საჩუქრად გრ. ტატიშვილის მიე[...] გამოცემული საყმაწვილო სურათე[...]ბიანი წიგნები:

1, ხუმარა სპილოები . 10
2, გედები . . . . 10
3, კეთილი ძაღლი. . 1[...]

იქვე იყიდება კანვაზედ საკერი ა[...]ნი 40 კაპ. და ჩართული (გლადით, საკერი) ანბანი 1 მ. (—6.—2)


Дозволено цензурою, Тифлисъ 13-го Апрѣля 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.